

+++შპს „ქართული კვების კომპანიის“ ახალი მენეჯმენტი ახალ სტრატეგიულ გეგმას წარმოადგენს+++

დღეს შპს „ქართული კვების კომპანიამ“ პრესკონფერენცია გამართა. შეხვედრაზე კომპანიის ახალმა მენეჯმენტმა ახალი სტრატეგიული გეგმა წარმოადგინა. მათ ასევე, განხორციელებულ ცვლილებებზე და ამ დროისთვის მიმდინარე კომპანიის მიერ გამოცხადებულ ტენდერებზეც ისაუბრეს. როგორც „ქართული კვების კომპანიის“ დირექტორმა გიორგი როგავამ განაცხადა, კომპანიის ახალ მენეჯმენტს ბევრი პრობლემა დახვდა. მათ უკვე შეისწავლეს ეს პრობლემები და დაწყებულია მათი მოგვარება. კომპანია მთავარ პრიორიტეტად კვების ხარისხის მაქსიმალურ ზრდას და მუშა პროცესების ეფექტურ მართვას ასახელებს. მენეჯმენტმა შეცვალა კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა. თავდაცვის სამინისტროს ობიექტებზე (სასადილოებში) მოხდა თითოეული თანამშრომლის საქმის ინდივიდუალურად გაცნობა და გადახედვა, ხელფასები საშუალოდ 25 %-ით გაიზარდა. თანამშრომელთა წახალისების მიზნით, კომპანია მომავალშიც აპირებს სხვადასხვა ბენეფიტების შეთავაზებას. ამ დროისთვის თავდაცვის სამინისტროს კვების ობიექტებზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, რომლის დასრულების შემდეგ სასადილოებში ახალი, თანამედროვე სასადილო ინვენტარის და დანადგარების შეტანა მოხდება, ინვენტარის ძირითადი პროცენტი უკვე შესყიდული და დასაწყობებულია. ასევე, გამკაცრდა კონტროლი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე. არსებობს კომპანიის შინაგანაწესი. ყველა თანამშრომელი ვალდებულია ამ შინაგანაწესს დაემორჩილოს. ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით სასადილოების მომსახურე პერსონალისთვის შეიკერა ახალი ფორმები. პროდუქტის შემოწმებისა და ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით უკვე გატარდა შესაბამისი ღონისძიებები. ასევე, კომპანიის ინიციატივით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან დაგეგმილია მემორანდუმის გაფორმდება, რის შედეგადაც კონტროლი კიდევ უფრო გამკაცრდება. ახლო მომავალში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით პერსონალისთვის ჩატარდება ტრენინგები. „ქართული კვების კომპანიის“ ხელმძღვანელობის განცხადებით, პროდუქტების შემოწმების პროცესი გამართული სისტემაა, რაც მაღალი ხარისხის გარანტიას იძლევა. „აღსანიშნავია რომ გარდა პროდუქტების ხარისხიანობის შემოწმებისა, მოწმდება პროდუქტების შენახვის პირობები, პროდუქტების გადამუშავებისა და საკვების მომზადებისთვის განკუთვნილი ადგილების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობაც. მოწოდებული პროდუქტები ვიზუალურად მოწმდება თავდაცვის სამინისტროს ობიექტზე არსებულ სამხედრო სასადილოებში, მენეჯერებისა და საწყობის უფროსების მიერ. პროდუქციას მოჰყვება ხარისხის სერტიფიკატი, რაც აღნიშნული პროდუქტის ვარგისიანობას ადასტურებს. ხარისხის სერტიფიკატი მოწოდებელი კომპანიის ხელშეკრულებასთან ერთად ადმინისტრაციულ ოფისში ინახება. პროდუქტის ხარისხს „ქართული კვების კომპანიის“ კონტროლისა და მონიტორინგის დეპარტამენტი ამოწმებს. ასევე შემოწმება ხდება თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ (თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია, სამხედრო პოლიცია, ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ხარისხის კონტროლის განყოფილების შესაბამისი წარმომადგენლები). შემოწმება ხორციელდება როგორც ორგანოლეპტიკურად, ასევე ლაბორატორიულადაც. საჭიროების შემთხვევაში პროდუქტის გადაგზავნა ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში ხდება. გარდა შემოსული პროდუქტების შემოწმებისა, სასადილოებში, უშუალოდ სამხარეულოში, სამხედრო ნაწილის ექიმების მიერ მზა კერძების შემოწმებაც ხდება. ჟურნალისტებთან შეხვედრაზე

კომპანიის ხელმძღვანელმა 26 ივლისს კომპანიის მიერ გამოცხადებულ ტენდერებზეც ისაუბრა. გიორგი როგავას განცხადებით: „დაინერგა ახალი მიდგომები. თუ აქამდე კომპანიის ხელმძღვანელი ერთპიროვნულად წყვეტდა რომელი მომწოდებლისგან შეეძინა ესა თუ ის პროდუქტი, ახლა ეს მანკიერი პრაქტიკა შეიცვალა, „ქართული კვების კომპანიის“ შესყიდვებზე ტენდერების გამოცხადება ელექტრონული სისტემის საფუძველზე მოხდება. ეს პროცესი ხელს უწყობს შესყიდვების პროცესის სამართლიანობასა და კონკურენტული გარემოს ხარისხის ზრდას.“ ქართული კვების კომპანიამ“ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა კვებითი უზრუნველყოფისათვის 25 ტენდერი გამოაცხადა, რომლის ჯამური ღირებულება 10 მილიონი ლარია. სატენდერო პროდუქტები დაყოფილია საყოველთაო შესყიდვების კლასიფიკატორის მიხედვით. ძირითადი განცხადების მიღების ბოლო ვადაა 16 აგვისტო, ნაწილის კი 19 აგვისტო. პროდუქციის ხარისხის დაკმაყოფილების შემთხვევაში შპს „ქართული კვების კომპანიისთვის“ ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის მთავარი კრიტერიუმი დაბალი ფასია. პროდუქტის მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღეში მოხდება. შესყიდვების პერიოდი 2013 წლის ბოლომდე გაგრძელდება.

Prime-News, 2013 წლის 13 აგვისტო

+++საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სამოქალაქო განვითარების სააგენტოს (სიდა) შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი+++

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სამოქალაქო განვითარების სააგენტოს (სიდა) შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების შექმნის მიზნით. დოკუმენტს ხელი მოაწერეს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით შერვაშიძემ და არასამთავრობო ორგანიზაციის „სამოქალაქო განვითარების სააგენტო საქართველოში“ (სიდა) აღმასრულებელმა დირექტორმა, ზვიად დევდარიანმა. „სოფლის მეურნეობის სამინისტრო სექტორის განვითარებისთვის სისტემურ რეფორმებს ახორციელებს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი რაიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების შექმნაა. აღნიშნული სამსახურები კონსულტაციას უწევენ მოსახლეობას და ეხმარებიან მათ მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია სოფლის მეურნეობის სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ. მემორანდუმის მიზანია აღნიშნული პროექტის ფარგლებში საზღვრისპირა რაიონებში (ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რაიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ხელშეწყობა და რეგიონებში ეკონომიკის განვითარება. მემორანდუმი ითვალისწინებს რაიონული სამსახურების თანამშრომელთა პროფესიული განვითარების კუთხით ტრენინგებს, საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის უზრუნველყოფას, ასევე რეგიონის მოსახლეობისთვის საბაზრო, ტექნიკური, სამართლებრივი და სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიწოდებას. სამწლიანი პროექტის მოქმედი მხარეები ერთიანდებიან ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და მმართველობისათვის სამხრეთ კავკასიაში და მიზნად ისახავენ საზღვრისპირა რაიონებში მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის დახმარებას სიღარიბის დაძლევაში. პროექტის ამოცანაა სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულთა კოორდინირებული მუშაობა, ბაზრის განვითარებისთვის სტრატეგიის შექმნა, ასევე ადგილობრივი ფერმერებისთვის საბაზრო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და შემოსავლების ზრდის შესაძლებლობა. პროექტის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 1 135 200 ევროს.

BLACK SEA PRESS, (საქართველო), 2013 წლის 13 აგვისტო

+++საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები შეიქმნება+++

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო აფუძნებს ახალ სტრუქტურას, რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომლობის მხარდაჭერას ქვეყანაში. სოფლის მეურნეობის სამინისტრო აქტიურად მუშაობს თანამშრომლობის მხარდაჭერაზე თემებს და ოჯახებს შორის. Black Sea Press-ს სამინისტროში განუცხადეს, რომ ეს ხელს შეუწყობს განვითარებას სექტორში და დაეხმარება ადგილობრივ მოსახლეობას პრობლემების დაძლევაში. საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ, რომელიც მომზადდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს პარლამენტის აგრარული კომიტეტის მიერ. კანონი ძალაშია 2013 წლის ოქტომბრიდან. კანონის ძალაში შესვლასთან ერთად სოფლის მეურნეობის სამინისტრო აფუძნებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს სოფლის მეურნეობის კოოპერატივების სააგენტოს. ახალი სტრუქტურა უზრუნველყოფს სწორ და ეფექტურ თანამშრომლობას თემებს და ოჯახებს შორის. სააგენტო უფლებამოსილია მისცეს და ჩამოართვას სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი, აგრეთვე უფლებამოსილია მოახდინოს კოოპერატივის საქმიანობის მონიტორინგი და განახორციელოს სახელმწიფო ქმედებები მოქმედი კანონების შესაბამისად. კანონის შესაბამისად, იურიდიულ პირებს სამეურნეო კოოპერატივის სტატუსით ექნებათ საგადასახადო შეღავათები და ზოგიერთი სხვა პრივილეგიები. ფერმერები და გლეხები შეუერთდებიან კოოპერატივებს ნებაყოფლობით.

BLACK SEA PRESS, (საქართველო), 2013 წლის 12 აგვისტო

+++სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია ISO 17025 და ISO 9001:2008 მიღებას აპირებს+++

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, სამინისტროს ლაბორატორია ISO 17025 სერტიფიკატის მიღებას აპირებს. ამ მიზნით განაცხადი უკვე შეტანილია ამერიკის ნაციონალური სტანდარტების ინსტიტუტში (ANSI, აშშ-ის აკრედიტაციის ორგანო). უახლოეს მომავალში ANSI-ის სპეციალისტები (აუდიტები) საქართველოში ჩამოვლენ და ადგილზე შეამოწმებენ, აკმაყოფილებს თუ არა ლაბორატორია საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. დადებითი პასუხის შემთხვევაში, ლაბორატორია ISO 17025-ს აკრედიტაციას მიიღებს, როგორც ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკის კუთხით, ასევე საკვები პროდუქტების ექსპერტიზის მიმართულებით. საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიის არსებობა საქართველოს საშუალებას მისცემს პროდუქცია ექსპორტზე გაიტანოს როგორც ევროპის, ისე აშშ-ის ბაზარზე, აღნიშნავს სამინისტრო. სამინისტროს ცნობით, ლაბორატორია ასევე მუშაობს საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დანერგვის საკითხზე, რის საფუძველზეც მომავალი წლის დასაწყისში მოხდება განაცხადის შეტანა ISO 9001:2008-ის მისაღებად.

DAILY NEWS, 2013 წლის 9 აგვისტო

+++მთავრობამ "ბიოწარმოების შესახებ" დადგენილება მიიღო+++

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, მთავრობამ მიიღო დადგენილება ბიოწარმოების შესახებ. ამ დადგენილებამ ხელი უნდა შეუწყოს ქართული პროდუქციის ექსპორტის გაზრდას. გათვალისწინებულია იმ მწარმოებლების დაცვა, რომლებიც აწარმოებენ ბიოპროდუქციას (პროდუქტს, რომლის ეტიკეტზე/ნიშანდებაზე დატანილია სიტყვები "ბიო", "ორგანული", "ეკო"). როგორც სამინისტრო განსაზღვრავს, "ბიოწარმოების შესახებ" მთავრობის დადგენილება, მოიცავს წესებს, რომლითაც განისაზღვრება ბიომეურნეობის მართვა, ბიოპროდუქციის წარმოება, გადამუშავება, ნიშანდება, ეტიკეტირება, დისტრიბუცია, რეალიზაცია, ასევე ბიოწარმოების ნებაყოფლობითი სერტიფიცირება. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული ბიოპროდუქტი, ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობიდან და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე გამოირჩევა თავისი გემური თვისებებით. სამინისტრო ხაზს უსვამს, რომ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში აღნიშნული პროდუქცია ძვირადღირებულია და საერთაშორისო ბაზარზე საკმაოდ დიდი მოთხოვნაა.

DAILY NEWS, 2013 წლის 9 აგვისტო

+++„სარაჯიშვილმა“ 2012 წელს კონიაკის გამოშვება გააორმაგა+++

„სარაჯიშვილის“ 2012 წლის ანგარიშის მიხედვით, ამ კომპანიის მიერ კონიაკის გამოშვებამ შეადგინა 41 400 დალი. გამოშვება ერთი წლის განმავლობაში 2-ჯერ არის გაზრდილი. პროდუქციისა და მასალების რეალიზაციიდან ამონაგებმა კი 2012 წელს შეადგინა 18,3 მილიონი ლარი, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 30,5%-ით არის გაზრდილი. კომპანიის წმინდა გაყიდვებმა საანგარიშო წელს 20,09 მილიონი ლარი შეადგინა, რაც ერთ წელიწადში 43,5%-ით არის გაზრდილი. კომპანიის წმინდა მოგებამ კი 5,3 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 83,9%-ით არის გაზრდილი. კომპანიის ინფორმაციით, მატერიალური აქტივები 1 იანვრის მდგომარეობით, შეადგენს 47,1 მილიონ ლარს, მათ შორის ძირითადი ქონების ნარჩენი ღირებულება არის 13,9 მლნ ლარი. ძირითადი მატერიალური აქტივი არის კონიაკის სპირტი, რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს 16,9 მილიონ ლარს. სპირტი ინახება 400-600 ლ მუხის კასრებში და კომპანიას 14,621 ასეთი კასრი ჰქონდა საანგარიშო პერიოდში. სულ ვალდებულებებმა შეადგინა 2012 წლის ბოლოსთვის 15,8 მლნ ლარი. ეს მონაცემი მცირდება 7,7%-ით შესაბამის წელს. ანგარიშში კომპანია მიუთითებს, რომ „სარაჯიშვილის“ სპირტიანი სასმელები დაპატენტებულია 41 ქვეყანაში. 18 სახეობის კონიაკი, რომელსაც კომპანია აწარმოებს, დაპატენტებულია საქართველოში. „სარაჯიშვილის“ კონიაკი იყიდება 15 ქვეყანაში, მათ შორისაა - ბელორუსია, ჩინეთი, ჩეხეთი, გერმანია, ყირგიზეთი, ლატვია, პოლონეთი, ტაივანი, უკრაინა, აშშ და ა.შ. ანგარიშში ნათქვამია ასევე, რომ კომპანიაში იყო დაგეგმილი, ექსპორტი რუსეთში წლის მეორე ნახევარში. თუმცა, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან დავითაშვილმა სარკესთან განაცხადა, რომ სარაჯიშვილს არ მიუმართავს სერტიფიცირების შესახებ სააგენტოსთვის. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ემბარგომდე (2006), კომპანიის პროდუქციის 80%-ის ექსპორტი რუსეთში ხდებოდა. სარაჯიშვილის 99,2%-ის მფლობელი არის ელგუჯა ბუბუტეიშვილი.

DAILY NEWS, 2013 წლის 8 აგვისტო

+++რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი (EBRD) 1,32 მილიონ დოლარს გამოყოფს რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპლექსის ასაშენებლად კახეთის რეგიონში+++ <http://pirveliradio.ge/uploads/2013-08-06/LAsAPAPAsVILI.jpg>

რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი (EBRD) სამრეწველო დონის რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპლექსის ასაშენებლად კახეთის რეგიონში ქართულ კომპანიას „ყვარელის ბაგას“ სესხის სახით 1,32 მილიონ დოლარს გამოუყოფს. „ყვარელის ბაგა“ საქონლის საკვებს 134 ჰექტარზე აწარმოებს, რაც საგრძნობლად შეამცირებს ხარჯებს და გააუმჯობესებს კვებას, აცხადებს EBRD. „ყვარელის ბაგაში“ აშენებენ ჰოლშტეინის და ყავისფერ შვეიცარული ჯიშის საქონელს, რომლებიც რძის ყველაზე დიდი ოდენობით გამოირჩევა (დაახლოებით 25 ლ ძროხაზე დღეში). „ყვარელის ბაგა“ საქართველოში მოღვაწე ბიზნესმენმა ლაშა პაპაშვილმა დააფუძნა. მისი დაფუძნებულია „ბანკი რესპუბლიკა“ და კომპანია „რედიქსი“. რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის (EBRD) ცნობით, „ყვარელის ბაგის“ ტიპის სამრეწველო დონის რძის პროდუქტების მწარმოებელ კომპლექსს აქვს პოტენციური ჩაანაცვლოს იმპორტირებული რძის ფხვნილი ახალი რძით. გამოყენებული რძის დაახლოებით 80 პროცენტი ფხვნილისგან იქმნება - ნათქვამია EBRD-ის პრესრელიზში.

DAILY NEWS, 2013 წის 8 აგვისტო

+++რა აკლია სოფლის მეურნეობის განვითარების უპრეცედენტო პროგრამას+++

"საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის" (IRI) კვლევის შედეგების მიხედვით გამოკითხულთა უმრავლესობამ სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგება (გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების პროგრამის ფარგლებში) ახალი მთავრობის მთავარ მიღწევად დაასახელა. სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის კვლევის ფარგლებში გამოკითხული 3 980 პირისგან 880-მა (22%) დაასახელა სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამა ყველაზე წარმატებულ რეფორმად 1 ოქტომბრის შემდეგ. თავის მხრივ, სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ერთადერთი, რაც ამ პროგრამას არ გააჩნდა, იყო ხელისუფლების PR, ნათქვამია სტატიაში. ასეთი მოსაზრება გამოთქვა ექსპერტმა ავთანდილ სილაგამემ და საზოგადოებრივი კომუნიკაციების სპეციალისტმა არჩილ გამზარდიამ. სილაგამის აზრით, სოფლის მეურნეობას არ ქონდა ასეთი მხარდაჭერა წლების განმავლობაში, „მაგრამ მნიშვნელოვანი შედეგები პროგრამას არ ექნება წლის პირველ ნახევარში“.

Sarke Press Monitor, 2013 წლის 7 აგვისტო

+++ერთ წელიწადში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში 15 ათასი ფერმერი გაერთიანდება+++

პარლამენტის აგრარული კომიტეტის ხელმძღვანელის გიგლა აგულაშვილის ინფორმაციით, ერთ წელიწადში კოოპერატივებში დაახლოებით 15 ათასი ადამიანი გაერთიანდება და „შედეგი ერთი წლის შემდეგ გვექნება“. „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ კანონის, რომელიც ძალაში შევიდა, მიხედვით მცირე ფერმერებს რამდენიმე პრივილეგია ექნებათ კოოპერატივებში გაწევრიანების შემთხვევაში. კერძოდ, კოოპერატივი 2017 წლის 1-ელ იანვრამდე გათავისუფლებული იქნება ქონების გადასახადისაგან, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი კი მოგების გადასახადით არ დაიბეგრება. თუ

კოოპერატივი მიიღებს გრანტს, არც ეს ფინანსური რესურსი დაიბეგრება. ექსპორტი პაატა კოლუაშვილი კანონის ერთ-ერთი ავტორი, აცხადებს, რომ პარლამენტმა მიიღო არასრულყოფილი კანონი არსებული პრობლემების არცოდნის გამო.

Sarke Press Monitor, 2013 წლის 7 აგვისტო

+++2013 წლის იანვარ-ივლისში 12 მილიონ ლიტრზე მეტი ღვინის ექსპორტი განხორციელდა საქართველოდან +++

2013 წლის იანვარ-ივლისში 12 მილიონ ლიტრზე მეტი ღვინის ექსპორტი განხორციელდა საქართველოდან, რაც 2012 წლის იანვარ-ივლისის მონაცემს 43%-ით აღემატება, „Black Sea Press“-ს აცნობეს საქართველოს ღვინის ეროვნულ სააგენტოში. სააგენტოს ცნობით, 3 მილიონი 554 ათას 174 ლიტრი ღვინო იყო ექსპორტირებული 2013 წლის ივლისში მსოფლიოს 23 ქვეყანაში. რაც შეეხება ივლისის ბოლოს, ღვინის პარტიები გაიზარდა ექსპორტზე უკრაინაში, რუსეთში, ყაზახეთში, ბელარუსში და პოლონეთში. უკრაინის წილი მთლიან ექსპორტში 38%-ია. სააგენტო იუწყება, რომ ექსპორტი რუსეთში 1 მილიონ 969 ათას 125 ლიტრია. ივნისში მხოლოდ ოთხი კომპანიის პროდუქცია იქნა ექსპორტირებული რუსეთში, ხოლო ივლისში კომპანიების რაოდენობა გაიზარდა 13-მდე. საერთო ჯამში, 2013 წლის ექსპორტმა იანვარ-ივლისში შეადგინა 47 322 625 აშშ დოლარი, რაც 23%-ით მეტია 2012 წლის იანვარ-ივლისის მონაცემზე.

BLACK SEA PRESS (საქართველო), 2013 წლის 6 აგვისტო

+ + + კომპანია „ნატახტარი“ გეგმავს ექსპორტზე ლუდის გატანას რუსეთში + + +

„ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორის თორნიკე ნიკოლაიშვილის განცხადებით, კომპანიის ლუდი გამოჩნდება რუსულ ბაზარზე უახლოეს მომავალში. მან თავი შეიკავა ზუსტი ვადის და მოცულობის დასახელებისგან. "შეფუთვა მზადდება ამ ეტაპზე და მუშაობა სხვა დეტალებზე მიმდინარეობს", აღნიშნა ნიკოლაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ლიმონათი, რომელსაც კომპანია უშვებს, უკვე წარმოდგენილია რუსეთის ბაზარზე 2011 წლის სექტემბრიდან. "ახალი ბაზრის ათვისებას კომპანია იწყებს ლიმონათით და შემდეგ გააქვს ლუდი", განუცხადა ნიკოლაიშვილმა „სარკეს“. ჩვენი ლიმონათი უკვე წარმოდგენილია 20 ქვეყანაში (აზერბაიჯანი, კვიპროსი, გერმანია, საბერძნეთი, აშშ და ა.შ.), განაცხადა მან და აღნიშნა, რომ ლუდის ექსპორტი მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში ხდება (არ დააკონკრეტა, რომლებში).

DAILY NEWS, 2013 წლის 6 აგვისტო

+++კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ ძალაში შევიდა+++

პარლამენტის მიერ მიღებული კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა გუშინ, ძალაში შევიდა. თუმცა, ზოგიერთი მუხლი შევა ძალაში 2 თვის შემდეგ (60 დღეში გამოქვეყნებიდან). ახლა ხელისუფლებამ უნდა დაამტკიცოს 2 თვის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მიღების და შეწყვეტის წესი. იმისათვის, რომ მოიპოვოს ეს სტატუსი, კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა უნდა მიმართოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა შექმნას ეს სააგენტო 2 თვის ვადაში კანონის ამოქმედებიდან. ის დაფინანსდება

მიზნობრივად სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე გრანტებიდან და სხვა შემოსავლებიდან კანონით დაშვებულ ფარგლებში. სამეურნეო კოოპერატივის წევრების რაოდენობა იმ სოფლებში, თემებში და პატარა ქალაქებში, სადაც კანონი "მაღალმთიანი რეგიონების ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ" მოქმედებს, უნდა იყოს არანაკლებ 3, ხოლო დანარჩენ საქართველოში - მინიმუმ 5. წვლილი სავალდებულო სარეზერვო ფონდში უნდა იყოს კოოპერატივის წლიური მოგების არანაკლებ 15%. სახელმწიფო მხარდამჭერის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს იგივე 2 თვის განმავლობაში, რაც მოიცავს განვითარების პროექტებისა და პროგრამების შედგენას, შეღავათიანი კრედიტების და გრანტების შეთავაზებას კოოპერატივისთვის, აგრეთვე საგადასახადო შეღავათების დაწესებას.

DAILY NEWS, 2013 წლის 6 აგვისტო

+++ ქართული ზეთისხილი ექსპორტზე გავა+++

ქართულ-თურქულმა კომპანია „ჯეოლაივმა“ წელს ზეთისხილი დამატებით 40 ჰექტარზე გააშენა. როგორც კომპანიის წარმომადგენლები ამბობენ, ამ ეტაპზე ზეთისხილის ბაღები 120 ჰექტარზე აქვთ გაშენებული. მათივე თქმით, უახლოეს დღეებში თურქული კომპანიის წარმომადგენლების ჩამოსვლაა დაგეგმილი, რათა მოხდეს საწარმოს მშენებლობის დეტალების განხილვა. მოსავლიანობით თურქული მხარე კმაყოფილია და ადგილობრივი ბაზრის გარდა კომპანიის მფლობელებს საექსპორტო ბაზრებიც განსაზღვრული აქვთ. „ჯეოლაივი“ მოსავლის 80%-ის ზეთად გადამუშავებას, ხოლო 20%-ის კონსერვების სახით გაყიდვას გეგმავს.

Prime-News, 2013 წლის 5 აგვისტო

+++არაგემიური შემოწმებების შედეგად კვების დარგის ბიზნეს ოპერატორების თითქმის 38% დაჯარიმდა+++

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, წლის პირველ ნახევარში არაგემიურად შემოწმდა 361 საწარმო, რომელთაგან 38% (136 ბიზნეს-ოპერატორი), გემიური შემოწმებების შედეგად გაცემული რეკომენდაციების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო დაჯარიმდა. ჯარიმის ჯამურმა თანხამ 64 200 ლარი შეადგინა. სააგენტოს მონაცემებით, არაგემიური შემოწმებების ყველაზე მეტი ნაწილი - 41% საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე მოდიოდა, 10%-მდე - სასაკლაოებზე, 7% - მარკეტებზე; ხოლო დანარჩენი 42% - ხორცისა და ხორცპროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოებზე, საკონდიტროებზე, სადისტრიბუციო ქსელებსა და სხვა დაწესებულებებზე.

DAILY NEWS, 2013 წლის 5 აგვისტო

+++თხილის მოსავალი 30%-ით გაიზარდა+++

„თხილის საექსპორტო კომპანიის“ ხელმძღვანელის ბეგი სიორიძის მოლოდინით, მიმდინარე წელს 2012 წელთან შედარებით, საქართველოში 20-30%-ით მეტ თხილის მოსავალს აიღებენ (მოცულობა დაკონკრეტებული არ არის). კომპანია 7 წელია საქმიანობს და თხილი ექსპორტზე გერმანიასა და ჩეხეთში გააქვს. რაც შეეხება საექსპორტო ფასს, სიორიძის თქმით, ეს გაირკვევა 10 აგვისტოდან, როდესაც ფასს თურქეთი გაასაჯაროებს. გასულ წელს თურქული გარჩეული თხილის

ფასი 7 აშშ დოლარის (1 კგ-ზე) ფარგლებში მერყეობდა, ქართული თხილი კი 6,7 აშშ დოლარად გავყიდეთ, აცხადებს სიორიძე.

Sarke Press Monitor, 2013 წლის 2 აგვისტო

+++**"ქეა საერთაშორისო კავკასიაში"** აცხადებს საგრანტო კონკურსს, რათა გააძლიეროს ღირებულებათა ჯაჭვები ქვემო ქართლში და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში+++

"ქეა საერთაშორისო კავკასიაში" აცხადებს საგრანტო კონკურსს, რათა გააძლიეროს ღირებულებათა ჯაჭვები და საბაზრო ტრანსაქციებში უღარიბესი ჯგუფების მონაწილეობა ქვემო ქართლში და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. კონკურსი ტარდება "ადგილობრივი მონაწილე მხარეები ერთიანდებიან ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და მმართველობისთვის სამხრეთ კავკასიაში (JOIN)" პროექტის ფარგლებში.

საგრანტო პროგრამა ორიენტირებულია პროექტის სამიზნე რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო ბაზრების ერთობლივი კვლევის შედეგად გამოვლენილ ღირებულებათა ჯაჭვების გაძლიერებაზე, როგორცაა:

1. ხორცის წარმოება გარდაბნის მუნიციპალიტეტში;
2. პომიდორის წარმოება მარნეულის მუნიციპალიტეტში;
3. ახალი კარტოფილის წარმოება ბოლნისის მუნიციპალიტეტში;
4. რძის პროდუქტების წარმოება დმანისის მუნიციპალიტეტში;
5. სასურსათე კარტოფილის წარმოება ახალქალაქის მუნიციპალიტეტში და
6. რძის პროდუქტების წარმოება ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში.

აღნიშნულ ღირებულებათა ჯაჭვებში სისტემური ცვლილებების შეტანა ფერმერებს შემოსავლების გაზრდის საშუალებას მისცემს, რაც განპირობებული იქნება მათი მხარდაჭერითა და ძირითადი ბაზრების გაზრდილი ეფექტურობით.

გრანტები გაიცემა იმ პროექტების მხარდასაჭერად, რომლებიც:

- აუმჯობესებს მცირე ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას, რაც კრიტიკულია ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებისთვის (მაგალითად, სარწყავი სისტემა, სასაწყობო სათავსები და სხვა). ინფრასტრუქტურა შეიძლება იყოს როგორც საჯარო, ისე კერძო;

• „ნოუ ჰაუს“ განმტკიცება და ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება სოფლის მეურნეობის პრდუქციის წარმოებაში და უზრუნველყოფის მომსახურებაში;

• ადვოკატირებისა და ლობირების მხარდაჭერა, რაც გააუმჯობესებს ბიზნეს გარემოს;

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

** იურიდიულ პირებს/ერთეულებს, რომლებიც საქართველოში რეგისტრირებულია, როგორცაა ინდივიდუალური პირები, კომერციული, არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაციები და სამთავრობო დაწესებულებები;

** აქვთ სასოფლო-სამეურნეო ან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში მუშაობის გამოცდილება (3-5 წელი შესაბამისი გამოცდილება ბიზნესში, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის განკუთვნილი მსგავსი პროექტების განხორციელების გამოცდილება).

საგრანტო პროგრამის ფარგლებში მოთხოვნილი ნებისმიერი გრანტის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს მინიმალურ და მაქსიმალურ თანხობრივ მოთხოვნებს:

მინიმალური ოდენობა: 10 000 ლარი

მაქსიმალური ოდენობა: 40 000 ლარი

უპირატესობა მიენიჭებათ იმ პროექტებს, რომლებიც სთავაზობენ უფრო მაღალ ფინანსურ კონტრიბუციას განმცხადებლისგან. არაკომერციულ საქმიანობასთან (როგორცაა ინფრასტრუქტურის განვითარება/რეაბილიტაცია, პოტენციალის გაზრდა, და ა.შ.; იხილეთ მე-3 თავი: საქმიანობების შესაბამისობა "სახელმძღვანელო მცირე გრანტებისათვის") დაკავშირებულ გრანტის მოთხოვნაზე გათვალისწინებულია CARE-ის მთლიანი დაფინანსების მაქსიმუმ 70%. აქედან გამომდინარე, კანდიდატს მოეთხოვება პროექტის მთლიანი ღირებულების არა უმცირეს 30%-ს თანადაფინანსება. თანადაფინანსება შეიძლება როგორც ფულადი, ასევე, არაფულადი რესურსით.

გრანტის მოთხოვნა კომერციულ პროექტებზე არ უნდა აღემატებოდეს პროექტის მთლიანი ბიუჯეტის 40%-ს. თანადაფინანსება კანდიდატის საკუთარი ან სხვა რესურსებით უნდა განხორციელდეს.

საპროექტო განაცხადებთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდება: 7 აგვისტო, 2013, 11:00 საათი, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი, კოსტავას ქუჩა 22, რუსთავი, ქვემო ქართლის რეგიონი

7 აგვისტო, 2013, 14:00 საათი, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი, გიორგაძის ქუჩა 1, მარნეული, ქვემო ქართლის რეგიონი

8 აგვისტო, 2013, 12:00 საათი, არასამთავრობო ორგანიზაცია "ფაროსი", ჭავჭავაძის ქუჩა 21, ნინოწმინდა, სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

8 აგვისტო, 2013, 15:00 საათი, დემოკრატიული მესხთა კავშირი, ტერიანის ქუჩა 26, ახალქალაქი, სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

9 აგვისტო, 2013, 11:00 საათი, მუნიციპალიტეტის შენობა, ბოლნისი, ქვემო ქართლის რეგიონი

9 აგვისტო, 2013, 14:00 საათი, მუნიციპალიტეტის შენობა, დმანისი, ქვემო ქართლის რეგიონი

გრანტის შესახებ ინფორმაცია და განაცხადის ფორმა ქართულ და რუსულ ენებზე შეიძლება ჩამოტვირთოთ შემდეგი ვებ-საიტებიდან:

http://dwvg.ge/joomla/index.php?option=com_acymailing&no_html=1&ctrl=url&urlid=370&mailid=323&subid=11;

http://dwvg.ge/joomla/index.php?option=com_acymailing&no_html=1&ctrl=url&urlid=371&mailid=323&subid=11)[http://dwvg.ge/joomla/index.php?option=com_acymailing&no_html=1&ctrl=url&urlid=372&mailid=323&subid=11,](http://dwvg.ge/joomla/index.php?option=com_acymailing&no_html=1&ctrl=url&urlid=372&mailid=323&subid=11)

http://dwvg.ge/joomla/index.php?option=com_acymailing&no_html=1&ctrl=url&urlid=373&mailid=323&subid=11), ასევე იხილეთ გრანტის დოკუმენტაცია ქართულ ენაზე: [http://dwvg.ge-](http://dwvg.ge/)

[/joomla/index.php?option=com_acymailing&no_html=1&ctrl=url&urlid=374&mailid=323&subid=11](http://dwvg.ge/joomla/index.php?option=com_acymailing&no_html=1&ctrl=url&urlid=374&mailid=323&subid=11) და რუსულ ენაზე http://dwvg.ge/joomla/index.php?option=com_acymailing&no_html=1&ctrl=url&urlid=375&mailid=323&subid=11

(გრანტის შესახებ ინფორმაცია, დანართი 1-ღირებულების თითოეული ჯაჭვის ანალიზი და დანართი 2 - გრანტის განაცხადის ფორმა).

საპროექტო განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 2013 წლის 19 აგვისტო, 17:00 საათი, ადგილობრივი დროით.

საპროექტო განაცხადების (როგორც დაბეჭდილი, ასევე, ელექტრონული ვერსია) წარდგენა შეგიძლიათ "ქეა საერთაშორისო კავკასიაში"-ს ცენტრალურ ოფისში: ქ.თბილისი, არჩილ ცაგარელის ქუჩა, 37,0160. ტელ: +995 32 2291941; ფაქსი: +995 32 2294307 და ელექტრონულ მისამართზე: Mikheil.Pakatsoshvili@care.org.ge "ადგილობრივი მონაწილე მხარეები ერთიანდებიან ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და მმართველობისთვის სამხრეთ კავკასიაში" (JOIN) პროექტი დაფინანსებულია ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) მიერ (დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ გვერდებს: <http://www.mfa.at/adc> - | <http://www.ada.gv.at>), რომელიც ხორციელდება CARE ავსტრიისა და CARE საერთაშორისო კავკასიაში მიერ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად: სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CDA) საქართველოში და აგრობიზნესისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრი (CARD) სომხეთში.

+++ თევზის ბაზრის შესწავლა რუსეთის და ევროპული ბაზრებისთვის +++

სომხეთის განვითარების სააგენტომ (ADA) გამოაქვეყნა სომხეთში, რუსეთსა და ევროპაში თევზის ბაზრის კვლევა. ნაშრომი სრულად ხელმისაწვდომია [ამ მისამართზე](#).

+++ სომხეთის განვითარების სააგენტოს ახალი ხილის და ბოსტნეულის ბაზრის კვლევა +++

სომხეთის განვითარების სააგენტომ (ADA) გამოაქვეყნა 2012 წელს ახალი ხილის და ბოსტნეულის ბაზრის კვლევა ქართულ, რუსულ, სომხურ, ქუვეითის და ევროპის ბაზარზე. ნაშრომი სრულად ხელმისაწვდომია [ამ მისამართზე](#).

+++ სომხეთის განვითარების სააგენტოს ყველის ბაზრის კვლევა +++

ყველის ბაზრის კვლევა სომხეთის რუსეთის, საქართველოს, ევროპის და არაბული ქვეყნების ბაზრებისთვის. სომხეთის განვითარების სააგენტომ (ADA) გამოაქვეყნა 2012 წელს ყველის ბაზრის კვლევა სომხეთის, რუსეთის, საქართველოს, ევროგაერთიანების და არაბული ქვეყნების ბაზარზე. ნაშრომი სრულად ხელმისაწვდომია [ამ მისამართზე](#).

+++ საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი +++

ჩვენი წვერი Business & Finance Consulting (BFC) აქვეყნებს საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსურ ბიულეტენს საინტერესო თემებზე. 2013 წლის ივლისის გამოცემას გაეცანით ამ მისამართზე.

+++AUSSCHREIBUNGEN+++

+ + +“ქართული კვების კომპანიამ” თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა კვებითი უზრუნველყოფისათვის 25 ტენდერი გამოაცხადა.+ + +

„ქართული კვების კომპანიამ“ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა კვებითი უზრუნველყოფისათვის 25 ტენდერი გამოაცხადა, რომლის ჯამური ღირებულება 10 მილიონი ლარია. ტენდერები გამოცხადდა 26 ივლისს, ხოლო ძირითადი განცხადების მიღების ბოლო ვადაა 16 აგვისტო, ნაწილის კი 19 აგვისტო. პროდუქტის მიწოდება ხელშეკრულებიდან ხუთ სამუშაო დღეში უნდა განხორციელდეს. როგავას თქმით, შესყიდვების პერიოდი 2013 წლის ბოლომდე გაგრძელდება. პროდუქციის ხარისხის დაკმაყოფილების შემთხვევაში შპს „ქართული კვების კომპანიისთვის“ ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის მთავარი კრიტერიუმი დაბალი ფასია. თუ აქამდე კომპანიის ხელმძღვანელი ერთპიროვნულად წყვეტდა რომელი მომწოდებლისგან შეეძინა ესა თუ ის პროდუქტი, ახლა ეს მანკიერი პრაქტიკა შეიცავალა, განაცხადა კომპანიის მენეჯერმა გიორგი როგავამ დღევანდელ პრეს-კონფერენციაზე. ამ დროისთვის თავდაცვის სამინისტროს კვების ობიექტებზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, რომლის დასრულების შემდეგ სასადილოებში ახალი, თანამედროვე სასადილო ინვენტარის და დანადგარების შეტანა მოხდება. პროდუქტის შემოწმებისა და ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით უკვე გატარდა შესაბამისი ღონისძიებები. გამკაცრდა კონტროლი სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე. ასევე, კომპანიის ინიციატივით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან დაგეგმილია მემორანდუმის გაფორმება, რის შედეგადაც კონტროლი კიდევ უფრო გამკაცრდება. პროდუქტის ხარისხს „ქართული კვების კომპანიის“ კონტროლისა და მონიტორინგის დეპარტამენტი ამოწმებს. შეგახსენებთ, რომ ჯარის სურსათით უზრუნველყოფაზე 4 ტენდერი იქნა შეჩერებული ივნისის დასაწყისში. უფრო ადრე ჯარისკაცების მოწამვლის რამდენიმე შემთხვევა იყო.

DAILY NEWS, 2013 წლის 13 აგვისტო

GTAI-ის ყველა ტენდერი საქართველოსთვის იხ. ამ მისამართზე.

GTAI-ის ყველა ტენდერი სომხეთისთვის იხ. ამ მისამართზე.

EBRD-ის ყველა ტენდერი საქართველოსთვის და სომხეთისთვის იხ. ამ მისამართზე.